



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს  
უწყებები

№ 21 (119)

1 დეკემბერი

1960 წ.

შ ი ნ ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
ბრძანებულებები და დადგენილებები

- 198. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. კ. ქევალიონის დანიშვნის შესახებ.
- 199. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ა. ეპიშვეის განთავისუფლების შესახებ.
- 200. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ა. ეპიშვეის დანიშვნის შესახებ.
- 201. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ი. კ. ზამჩევსკის განთავისუფლების შესახებ.
- 202. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ი. გ. შიკინის დანიშვნის შესახებ.
- 203. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ვ. ი. ივანოვის განთავისუფლების შესახებ.
- 204. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სომალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გ. ი. ფომინის დანიშვნის შესახებ.
- 205. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხარკოვის ნ. ვ. ლი-სენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 206. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უკრაინის სსრ ხელოვნების მუშაკებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭებას შესახებ.

202



207. კონვენცია უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში.



**საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები**

**ბანყოფილება პირველი**

208. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

209. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზოგიერთი დადგენილებების ძალადაქარგულად ცნობის შესახებ.

**ბანყოფილება მეორე**

210. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალ-წაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

211. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

**ბანყოფილება მესამე**

საინფორმაციო ცნობა.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**198** რუმიენტის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო  
და სრულუფლებიან ელჩად ი. კ. შვალინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ივანე კუზმას ძე შვალინი სსრ კავშირის საგანგებო და სრულ-  
უფლებიან ელჩად რუმიენტის სახალხო რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 12 ნოემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**199** რუმიენტის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო  
და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ა. ეპიფანის  
განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ალექსი ალექსის ძე ეპიფანი სსრ კავშირის საგანგებო  
და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან რუმიენტის სახალხო რესპუბ-  
ლიკაში სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 12 ნოემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**200** იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავ-  
შირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. ა. ეპიფანის და-  
ნიშვნის შესახებ

დაინიშნოს ალექსი ალექსის ძე ეპიფანი სსრ კავშირის საგანგებო და სრულ-  
უფლებიან ელჩად იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 19 ნოემბერი.



**201** იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საბანკო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ი. პ. ზამჩავსკის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ივანე კონსტანტინეს ძე ზამჩევსკი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 19 ნოემბერი.

**202** ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საბანკო და სრულუფლებიან ელჩად ი. ვ. შიკინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს იოსებ ვასილის ძე შიკინი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 23 ნოემბერი.

**203** ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საბანკო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ვ. ი. ივანოვის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ვასილ ივანეს ძე ივანოვი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 23 ნოემბერი.

**204** სომალის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საბანკო და სრულუფლებიან ელჩად გ. ი. ფომინის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გენადი ივანეს ძე ფომინი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად სომალის რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 24 ნოემბერი.



**205** სარკოვის ნ. ვ. ლისენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სხალმწიფო აკადემიური თეატრის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალურ-თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და ქალაქ მოსკოვში უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადსთან დაკავშირებით ხარკოვის ნ. ვ. ლისენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 24 ნოემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**206** უკრაინის სსრ ხელოვნების მუშაკებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად და ქალაქ მოსკოვში უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადსთან დაკავშირებით, მიენიჭოთ სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება:

1. ევგენი ვასილის ძე **ბონდარენკოს** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, ხარკოვის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრის მსახიობს.
2. პავლე პავლეს ძე **ვირსკის** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, უკრაინის სსრ ცეკვის დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს.
3. დიმიტრი მიხეილის ძე **გნატიუკს** — უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს, კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მსახიობს.
4. ვლადიმერ მიხეილის ძე **დალსკის** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, კიევის ი. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრის მსახიობს.
5. ვიქტორ ნიკოლოზის ძე **დობროვოლსკის** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, კიევის ი. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრის მსახიობს.
6. პავლე პეტრეს ძე **კარმალიუკს** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, ლვოვის ი. ფრანკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტს.
7. პოლინა ვლადიმერის ასულ **კუმანჩენკოს** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, ხარკოვის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრის მსახიობს.

8. იური სერგის ძე **ლავროვს** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, უკრაინკას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი დრამატული თეატრის მსახიობს.

9. ვლადიმერ გერასიმეს ძე **მაგარს** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, ზაპოროჟიეს ნ. შჩორისის სახელობის საოლქო მუსიკალურ-დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს.

10. გიორგი ილარიონის ძე **მაიზოროდას** — უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორს.

11. დიმიტრი ემელიანეს ძე **მილიუტენკოს** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, კიევის ი. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრის მსახიობს.

12. ალექსანდრე ზაქარიას ძე **მინკოვსკის** — უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, უკრაინის სსრ ბანდურისტთა დამსახურებული კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელს.

13. ევგენი პორფილეს ძე **პონომარენკოს** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, კიევის ი. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი აკადემიური უკრაინული დრამატული თეატრის მსახიობს.

14. ბელა ანდრიას ასულ **რუდენკოს** — უკრაინის სსრ დამსახურებულ არტისტს, კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მსახიობს.

15. ლარისა არქიპოს ასულ **რუდენკოს** — უკრაინის სსრ სახალხო არტისტს, კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მსახიობს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 24 ნოემბერი.

## 207 კონვენცია უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის შესახებ

### მუხლი I

1. ეს კონვენცია გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის მიმართ, რომლებიც გამოტანილია ისეთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც განსხვავდება იმ სახელმწიფოსაგან, სადაც მოთხოვნილია ასეთ გადაწყვეტილებათა ცნობა და სისრულეში მოყვანა დაეაზრებოდეს, რომელშიც მხარეებელ შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები. კონვენცია გამოიყენება აგრეთვე იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ საშინაო გადაწყვეტილებებს იმ სახელმწიფოში, სადაც მოთხოვნილია მათი ცნობა და სისრულეში მოყვანა.

2. ტერმინი „საარბიტრაჟო გადაწყვეტილებანი“ შეიცავს არა მარტო იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოტანილია ყოველ ცალკეულ

საქმეზე დანიშნულ არბიტრთა მიერ, არამედ აგრეთვე იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსაც, რომლებიც გამოიტანეს მუდმივმა საარბიტრაჟო ორგანომ, რომლებსაც მიმართეს მხარეებმა.

3. ამ კონვენციის ხელის მოწერის, რატიფიკაციის ან შეერთების, ან ამ კონვენციის X მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების დროს, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია ნაცვალგების საფუძველზე განაცხადოს, რომ იგი ამ კონვენციას გამოიყენებს იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის მიმართ, რომლებიც გამოიტანილია მხოლოდ კონვენციის დამდები მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მას შეუძლია აგრეთვე განაცხადოს, რომ იგი ამ კონვენციას გამოიყენებს მხოლოდ იმ დავაზე, რომელიც წარმოიშვება სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობის გამო და რომელიც ითვლება სავაჭრო დავის საკითხად იმ სახელმწიფოს ეროვნული კანონით, რომელმაც გააკეთა ასეთი განცხადება.

## მუხლი II

1. კონვენციის დამდები ყოველი მხარე ცნობს წერილობით შეთანხმებას, რომლითაც მხარეები კისრულობენ არბიტრაჟს გადასცენ ყველა ან რომელიმე დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის რომელიმე კონკრეტულ სახელშეკრულებო ან სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რომლის ობიექტი შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი.

2. ტერმინი „წერილობითი შეთანხმება“ შეიცავს ხელშეკრულებაში დამატებით საარბიტრაჟო შენიშვნას ან საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომელსაც ხელი მოაწერეს მხარეებმა ან რომელსაც შეიცავს წერილების ან დეპეშების გაცვლა.

3. კონვენციის დამდები სახელმწიფოს სასამართლო, თუ მასთან შევა სარჩელი საკითხზე, რომელზედაც მხარეებმა დადეს ამ მუხლით გათვალისწინებული შეთანხმება, ვალდებულია ერთერთი მხარის თხოვნით მხარეები გაგზავნოს არბიტრაჟში, თუ არ მიიჩნევს, რომ ხსენებული შეთანხმება გაუქმებულია, ძალა დაკარგა ან არ შეიძლება მისი შესრულება.

## მუხლი III

კონვენციის დამდები ყოველი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს, როგორც სავალდებულოს და სისრულეში მოჰყავს ისინი იმ ტერიტორიის საპროცესო ნორმების შესაბამისად, სადაც მოთხოვნილია ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და სისრულეში მოყვანა, იმ პირობებში, რომლებიც მოცემულია ქვემოთმოყვანილ მუხლებში. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის დროს, რომელთა მიმართ გამოიყენება ეს კონვენცია, არ უნდა იქნას გამოყენებული არსებითად უფრო დამამძიმებელი პირობები ან უფრო მაღალი ბაჟი ან გამოსაღები, ვიდრე ისეთი, როგორიც არსებობს საშინაო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის დროს.



1. წინა მუხლში აღნიშნული ცნობისა და სისრულეში მოყვანის მიზანსა და, მხარე, რომელიც მოითხოვს ცნობასა და სისრულეში მოყვანას, ასეთი თხოვნის შეტანის დროს წარადგენს:

a) სათანადო წესით დამოწმებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანს ან სათანადო წესით დამოწმებულ მის პირს;

b) II მუხლში აღნიშნულ შეთანხმების დედანს ან სათანადო წესით დამოწმებულ მის პირს.

2. თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან შეთანხმება გადმოცემული არ არის იმ ქვეყნის ოფიციალურ ენაზე, სადაც მოთხოვნილია ამ გადაწყვეტილების ცნობა და სისრულეში მოყვანა, მხარე, რომელიც მოითხოვს ამ გადაწყვეტილების ცნობასა და სისრულეში მოყვანას, წარმოადგენს ამ დოკუმენტების თარგმანს ასეთ ენაზე. თარგმანს ამოწმებს ოფიციალური ან ნაფიცი მთარგმნელი ან დიპლომატიური ან საკონსულო დაწესებულება.

მუხლი V

1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობაზე ან სისრულეში მოყვანაზე შეიძლება უარი ეთქვას იმ მხარის თხოვნით, რომლის წინააღმდეგაც იგი მიმართულია, თუ კი ეს მხარე კომპეტენტურ ხელისუფალთ წარუდგენს ადგილზე, სადაც მოთხოვნილია ცნობა და სისრულეში მოყვანა, იმის დამამტყიცებელ საბუთს, რომ:

a) II მუხლში აღნიშნული შეთანხმების მხარეები მათ მიმართ გამოყენებული კანონისადმი იყვნენ რამდენადმე მაინც ქმედუუნარო, ან ეს შეთანხმება ძალადაკარგულია იმ კანონით, რომელსაც მხარეებმა ეს შეთანხმება დაუქვემდებარეს, ხოლო ასეთი მითითების უქონლობის დროს — იმ ქვეყნის კანონის მიხედვით, სადაც გამოტანილი იყო გადაწყვეტილება, ან

b) მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდ გამოტანილია გადაწყვეტილება, სათანადო წესით არ აცნობებს არბიტრის დანიშვნის შესახებ ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა მიზეზების გამო არ შეეძლო წარმოედგინა. თავისი განმარტებანი, ან

c) აღნიშნული გადაწყვეტილება გამოტანილია დავაზე, რომელიც გათვალისწინებული არ არის ან არ ეფარდება საარბიტრაჟო შეთანხმების პირობებს ან ხელშეკრულების დამატებით საარბიტრაჟო შენიშვნებს, ან შეიცავს დადგენილებებს საკითხებზე, რომლებიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დამატებითი საარბიტრაჟო შენიშვნების ფარგლებს, მაგრამ ისე, რომ თუ დადგენილებები საკითხებზე, რომლებსაც შეიცავს საარბიტრაჟო შეთანხმება ან შენიშვნა, შეიძლება გამოეყოს იმ დადგენილებებს, რომლებსაც არ მოიცავს ასეთი შეთანხმება ან შენიშვნა, მაშინ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ის ნაწილი, რომელსაც შეიცავს საარბიტრაჟო შეთანხმება ან ხელშეკრულების დამატებითი საარბიტრაჟო შენიშვნა, შეიძლება ცნობილ და მოყვანილ იქნას სისრულეში, ან.





d) საარბიტრაჟო ორგანოს შემადგენლობა ან საარბიტრაჟო პროცესი შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ან, შეთანხმების უქონლობის დროს შეესაბამებოდა იმ ქვეყნის კანონს, სადაც მოხდა არბიტრაჟი, ან

e) გადაწყვეტილება ჯერ არ არის საბოლოო მხარეებისათვის ან გაუქმებული იქნა ან შესრულება შეჩერებულ იქნა იმ ქვეყნის კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ, სადაც გამოტანილი იყო, ან იმ ქვეყნის კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ, რომლის კანონი გამოიყენება.

2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და სისრულეში მოყვანაზე შეიძლება აგრეთვე უარი ეთქვას, თუ იმ ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფალნი, სადაც მოთხოვნილია ცნობა და სისრულეში მოყვანა ცნობენ, რომ:

a) დავის ობიექტი ამ ქვეყნის კანონით არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი, ან

b) ამ გადაწყვეტილების ცნობა და სისრულეში მოყვანა ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის საჯარო წესს.

### მუხლი VI

თუ V მუხლის I პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში აღნიშნულ კომპეტენტურ ხელისუფალთა წინააღმდეგ აღძრული იყო შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან სისრულეში მოყვანის შეჩერების შესახებ, მაშინ იმ ხელისუფალთ, რომელთაც მიმართეს თხოვნით ამ გადაწყვეტილების ცნობისა და სისრულეში მოყვანის შესახებ, თუ მიზანშეწონილად ჩათვლიან, შეუძლიათ გადადონ საკითხის გადაჭრა ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის შესახებ და აგრეთვე შეუძლიათ, იმ მხარის შუამდგომლობით, რომელიც თხოულობს ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას, დაავალონ მეორე მხარეს წარმოადგინოს სათანადო უზრუნველყოფა.

### მუხლი VII

1. ამ კონვენციის დადგენილებები არ ეხება იმას, ძალაშია თუ არა მრავალმხრივი ან ორმხრივი შეთანხმებები იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის შესახებ, რომლებიც დადებულია კონვენციის დამდებ სახელმწიფოებს შორის, და არ უკარგავს უფლებებს არც ერთ დაინტერესებულ მხარეს ისარგებლოს ყოველი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით იმ წესით და იმ ფარგლებში, რომლებიც დაშვებულია იმ ქვეყნის კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით, სადაც მოთხოვნილია ასეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და სისრულეში მოყვანა.

2. ჟენევის 1923 წლის ოქმი საარბიტრაჟო შენიშვნების შესახებ და ჟენევის 1927 წლის კონვენცია უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის შესახებ, კონვენციის დამდებ სახელმწიფოებს შორის ძალას კარგავს მას შემდეგ, რაც ეს კონვენცია მათთვის სავალდებულო გახდება, და იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი მათთვის სავალდებულო ხდება.

## მუხლი VIII



1. ამ კონვენციაზე ხელის მოწერა შეიძლება 1958 წლის 31 დეკემბრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველი წევრის სახელით, აგრეთვე ყოველი სახელმწიფოს სახელით, რომელიც არის ან შემდეგში გახდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელიმე სპეციალიზებული დაწესებულების წევრი ან რომელიც არის ან შემდეგში გახდება საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მონაწილე, ან ყოველი სხვა სახელმწიფოს სახელით, რომელიც მოწვეულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ.

2. ეს კონვენცია რატიფიცირებულ უნდა იქნას, და სარატიფიკაციო სიგელები დეპონირებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

## მუხლი IX

1. ამ კონვენციას შეუძლია შეუერთდეს ყველა სახელმწიფო, რომელიც მოხსენებულია VIII მუხლში.

2. შეერთება წარმოებს შეერთების სიგელის დეპონირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

## მუხლი X

1. ამ კონვენციაზე ხელის მოწერის ან რატიფიკაციის დროს ან შეერთების დროს ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება ყველა ან ზოგიერთ ტერიტორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობაზე იგი პასუხისმგებელია. ასეთი განცხადება ძალაში შედის აღნიშნულ სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლასთან ერთად.

2. ყოველ დროს ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ასეთი გავრცელება შეიძლება მოხდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შეტყობინების საშუალებით და ძალაში შედის ოთხმოცდამათე დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების დღიდან, ან სათანადო სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღეს, იმისდა მიხედვით, რომლის ვადა გადის უფრო გვიან.

3. რაც შეეხება ტერიტორიებს, რომლებზედაც ეს კონვენცია არ იქნება გავრცელებული მისი ხელმოწერის ან რატიფიკაციის დროს, ან მასთან შეერთების დროს, ყოველმა დაინტერესებულმა სახელმწიფომ უნდა განიხილოს საკითხი იმ ზომების მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებიც საჭიროა აღნიშნული ტერიტორიებისადმი ამ კონვენციის გამოყენების გასავრცელებლად იმ პირობით, თუ ამაზე თანახმანი არიან ისეთი ტერიტორიების მთავრობები, სადაც ეს საჭიროა კონსტიტუციური საფუძვლების მიხედვით.

## მუხლი XI

ფედერაციული და არაუნიტარული სახელმწიფოების მიმართ გამოიყენება ქვემოთყვანილი დადგენილებები:

a) ამ კონვენციის მუხლების მიხედვით, რომლებიც შეეხება ფედერალური ხელისუფლების საკანონმდებლო იურისდიქციას, ფედერალური მთავრობის ვალდებულებანი შესაბამის ფარგლებში იგივეა, რაც კონვენციის დამდები იმ სახელმწიფოების ვალდებულებანი, რომლებიც არ არიან ფედერაციული სახელმწიფოები;

b) რაც შეეხება ამ კონვენციის მუხლებს, რომლებიც შეეხება ფედერაციის შემადგენელ იმ სახელმწიფოების ან პროვინციების საკანონმდებლო იურისდიქციას, რომლებიც არ არიან ვალდებულნი ფედერაციის კონსტიტუციური სისტემის თანახმად მიიღონ საკანონმდებლო ზომები, ფედერალური მთავრობა აცნობებს ასეთ მუხლებს თავისი კეთილსასურველი რეკომენდაციით სახელმწიფოების ან პროვინციების სათანადო ხელისუფალთ, რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში;

c) ამ კონვენციის მონაწილე ფედერაციული სახელმწიფო წარადგენს კონვენციის დამდები ყოველი სხვა სახელმწიფოს მოთხოვნით, რაც გადაცემულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით, ცნობას ფედერაციისა და მისი შემადგენელი ნაწილების კანონებისა და პრაქტიკის შესახებ, რომლებიც შეეხებიან ამ კონვენციის ყოველ კონკრეტულ დადგენილებას, ამასთანავე აღნიშნავს, თუ რამდენად არის ეს დადგენილება განხორციელებული საკანონმდებლო ან რაიმე სხვა ღონისძიებებით.

## მუხლი XII

1. ეს კონვენცია ძალაში შედის ოთხმოცდამეათე დღეს მესამე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების სიგელის დეპონირების დღიდან.

2. თვითეული სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ კონვენციას გაუკეთებს რატიფიკაციას ან შეუერთდება მას მესამე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების სიგელის დეპონირების შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შედის ოთხმოცდამეათე დღეს ამ სახელმწიფოს მიერ თავისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების სიგელის დეპონირების შემდეგ.

## მუხლი XIII

1. კონვენციის დამდებ ყოველ სახელმწიფოს შეუძლია ამ კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წერილობითი შეტყობინებით. დენონსაცია ძალაში შედის ერთი წლის შემდეგ გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების დღიდან.

2. ყოველ სახელმწიფოს, რომელმაც X მუხლის საფუძველზე გააკეთა განცხადება ან გაგზავნა შეტყობინება, შეუძლია შემდგომში ყოველ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში განაცხადოს, რომ ამ კონვენციის მოქმედება სათანადო ტერიტორიის მიმართ შეწყდება ერთი წლის შემდეგ გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების დღიდან.

3. ეს კონვენცია გამოყენებულ იქნება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართ, რომელთა ცნობისა და სისრულეში მოყვანის შესახებ საქმეები დაწყებული იყო დენონსაციის ძალაში შესვლამდე.

#### მუხლი XIV

კონვენციის დამდებ არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება გამოიყენოს ეს კონვენცია კონვენციის დამდებ სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ სხვაგვარად, თუ არა იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი ვალდებულია ეს კონვენცია გამოიყენოს.

#### მუხლი XV

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ატყობინებს სახელმწიფოებს, რომლებიც მოხსენებულია VIII მუხლში, ქვემოთმოყვანილის შესახებ:

- a) VIII მუხლის თანახმად ხელის მოწერისა და რატიფიკაციის შესახებ;
- b) IX მუხლის თანახმად შეერთების შესახებ;
- c) განცხადებებისა და შეტყობინებების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ I, X და XI მუხლებიდან;
- d) XII მუხლის თანახმად ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღის შესახებ;
- e) XIII მუხლის თანახმად დენონსაციებისა და შეტყობინებების შესახებ.

#### მუხლი XVI

1. ეს კონვენცია, რომლის რუსული, ინგლისური, ესპანური, ჩინური და ფრანგული ტექსტები ერთიანად ავთენტურია, ინახება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივში.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ამ კონვენციის შემოწმებულ პირებს უგზავნის VIII მუხლში მოხსენებულ სახელმწიფოებს.

ხელმოწერილია სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ 1958 წლის 29 დეკემბერს.

კონვენცია უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და სისრულეში მოყვანის შესახებ ამ კონვენციის XII მუხლის I პუნქტის შესაბამისად ძალაში შევიდა 1959 წლის 7 ივნისს.

კონვენცია რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 10 აგვისტოს. ამასთან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აკეთებს შემდეგ განცხადებას:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი გამოიყენებს ამ კონვენციის დებულებებს კონვენციის არამონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიაზე გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ მხოლოდ ნაცვალგების პირობებში.

XII მუხლის 2 პუნქტის თანახმად აღნიშნული კონვენცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისათვის ძალაში შევიდა 1960 წლის 22 ნოემბერს.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურების გამო და ქალაქ მოსკოვში უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა უკრაინის სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების 1.014 მუშაკი.

**ლენინის** ორდენით დაჯილდოებულია: უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, ხარკოვის ა. ს. პუშკინის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მსახიობი ვ. მ. არისტოვი, პოეტი ნ. პ. ბაჟანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კიევის ტ. გ. შვეჟინკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი ნ. დ. ვორუჟევი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კიევის ტ. გ. შვეჟინკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი ბ. რ. გმირია, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ვ. ბ. გომოლიაკა, მწერალი ა. ტ. გონჩარი, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, კიევის ტ. გ. შვეჟინკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტი ნ. ი. გონჩარენკო, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი კ. ფ. დანკევიჩი, უკრაინის სსრ სახალხო მხატვარი მ. გ. დერეგუსი, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი გ. ლ. ჟუკოვსკი, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, სტალინის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი რეჟისორი ა. ა. ზდიხოვსკი, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კიევის ტ. გ. შვეჟინკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მთავარი დირიჟორი ა. ი. კლიმოვი, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, ლვოვის მ. ზანკოვეცკაიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი უკრაინული დრამატული თეატრის მსახიობი დ. ი. კოზაჩკოვსკი, მწერალი პ. ს. კოზლანიუკი, დრამატურგი ა. ე. კორნეიჩუკი, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ა. ო. კოს-ანატოლსკი (კოსი), სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კიევის ი. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი უკრაინული დრამატული აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი მ. მ. კრუშელნიცკი, მწერალი ი. ლ. ლე (მოისია), მწერალი ა. ს. ლევადა (კოსიაკი), უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კიევის ა. დოჟენკოს სახელობის მხატვრული ფილმების კინოსტუდიის რეჟისორი ტ. ვ. ლეჟუკი, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ბ. ნ. ლიატოშინსკი, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი პ. ი. მაიბოროდა, პოეტი ა. ს. მალიშკო, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, ოდესის ა. ივანოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მსახიობი პ. ვ. მიხაილოვი, უკრაინის სსრ სახალხო არ-

ტისტი, ზაპოროჟიეს ნ. შჩორსის სახელობის უკრაინული მუსიკალურ-დრამატული თეატრის მსახიობი ა. ი. მოროზოვა, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი ვ. ი. ნადირაძე-გრონსკი, პოეტი ს. ი. ოლეინიკი, მწერალი პ. ი. პანჩა (პანჩენკო), სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ა. გ. პეტრიცკი, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ოდესის ა. ნეჟდანოვას სახელობის კონსერვატორიის პროფესორი კ. კ. პიგროვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლვოვის მ. ზანკოვეცკაიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი უკრაინული დრამატული თეატრის მსახიობი ბ. ვ. რომანიცკი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კიევის ლ. უკრაინკას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი რუსული დრამატული თეატრის მსახიობი მ. ფ. რომანოვი, პოეტი მ. ფ. რილსკი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ხარკოვის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის უკრაინული დრამატული აკადემიური თეატრის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და მსახიობი ა. ი. სერდიუკი, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი ვ. მ. სკლიარენკო, მწერალი ი. კ. სმოლიჩი, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, ჩერნოვიცის ო. კობილიანსკაიას სახელობის უკრაინული მუსიკალურ-დრამატული თეატრის მსახიობი ვ. კ. სოკირკო, პოეტი ვ. ნ. სოსიურა, მწერალი მ. ა. სტელმახი, პოეტი პ. გ. ტიჩინა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კიევის ი. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი უკრაინული დრამატული აკადემიური თეატრის მსახიობი ნ. მ. უჟვი, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, კიევის ლ. უკრაინკას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი რუსული დრამატული თეატრის მსახიობი ვ. მ. ხალატოვ-პოროსენკოვი, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი მ. ი. ხმელკო, უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, ხარკოვის ნ. ვ. ლისენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი ე. ი. ჩერვონიუკი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ა. ა. შოკუჩენკო, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი, კიევის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი კონსერვატორიის დირექტორი ა. ი. შტოგარენკო და სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კიევის ი. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი უკრაინული დრამატული აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ი. პ. იურა.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია — 127 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 310, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ 198 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 332 კაცი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიასთან დაკავშირებით საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიები და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისია შეუდგენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ სსრ კავ-



შირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის გეგმის პროექტის, სსრ კავშირის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარ განხილვას.

გეგმისა და ბიუჯეტის ცალკეული განყოფილებების განსახილველად კომისიებში შექმნილია ქვეკომისიები, რომლებიც შეუდგენენ გეგმისა და ბიუჯეტის მასალების განხილვას.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენლები, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები. კონსულტანტების სახით ქვეკომისიების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის, დაგეგმვისა და საბიუჯეტო-საფინანსო საკითხების სპეციალისტები.

მიმდინარე წლის 18 ნოემბერს კრემლში შედგა პალატების საბიუჯეტო კომისიების და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის გაერთიანებული სხდომა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის გეგმის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1959 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა ვ. თ. ვარბუჯოვმა.

კომისიების მუშაობა გრძელდება.

**საქართველოს სსრ ქანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები**

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**208 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭო მეოთხე სესია 1960 წლის 29 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ქოჩინიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. პალდიავილი**.

ქ. თბილისი. 1960 წლის 30 ნოემბერი.



**209** სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზოგირითი დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1959 წლის 18 აპრილს მიიღო კანონი „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“, ცნობილ იქნას ძალადაკარგულად შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 21 მაისის დადგენილება „საქართველოს სსრ-ში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების წესის შესახებ (საქ. სსრ. კან. კრ. 1930 წ., № 12, მუხ. 170; ცვლილებით საქ. სსრ კან. კრ., 1931 წ., № 5, მუხ. 63);

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 9 ოქტომბრის დადგენილება „საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ., № 20, მუხ. 295);

3. საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 13 აპრილის დადგენილება „არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1938 წ., № 13, მუხ. 48).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწინიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ვალდიაშვილი**.

ქ. თბილისი. 1960 წლის 30 ნოემბერი.

**ბანყოფილება მეორე**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**210** მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 16 თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე წყალწაღებულთა გადარჩენისათვის გამბედაობით, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:



## მედლით „წაღწაღებულთა ბადარჩინისათვის“



1. ალექსანდრე შიოს ძე **თვალჭრელიძე** — მარნეულის საქალაქო სახანძრო რაზმის უფროსი.

2. კახრამან გულამ გუსეინის ძე **ხალილოვი** — მარნეულის რაისამომხმარებლო კავშირის № 2 სასადილოს მზარეული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ბელდიუშვილი**.

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 211 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი ერი ანტონის ძე **პაჭკორია** დაჯილდოებულ იქნას მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ბელდიუშვილი**.

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 ნოემბერი.

### ბანუოფილება მისაგმ

### საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებით დააჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 305 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	13
ახალქალაქის რაიონიდან	26
გეგეჭკორის	20
გორის	7
გურჯაანის	7
დმანისის	27
ზუგდიდის	31
თელავის	6

კასპის	რაიონიდან	16
ლანჩხუთის	”	3
მარნეულის	”	90
მცხეთის	”	6
საჩხერის	”	13
ტყიბულის	”	6
ყვარლის	”	12
ცხაკაიას	”	9
ხობის	”	13